






გლობალური ბაზრების მიმოხილვა

გლობალური ბაზრები
პერიოდული
13 ოქტომბერი, 2020

- **S&P 500** (აშშ-ს 500 უმსხვილესი კონკრეტული ინდექსი) ოქტომბრის პირველ კვირაში კვლავ გაიზარდა სექტემბრის კლების შემდეგ. მასზე პოზიტიური გავლენა იქონია ამერიკის პრეზიდენტის მიერ ახალი ფისკალური სტიმულირების პაკეტის განხორციელების მოლოდინმა. შესაბამისად, S&P 500 3.8%-ით გაიზარდა, რაც ბოლო 3 თვის საუკეთესო მაჩვენებელია. ამასთან, **NASDAQ** (აერთიანებს აშშ-ს ტექნო-გიგანტებს) ასევე მნიშვნელოვნად, 4.6%-ით, გაიზარდა ამავე პერიოდში.
- ინვესტორები აშშ-ში დამატებით ფისკალურ სტიმულს მოელიან, რომელიც დონალდ ტრამპმა \$1.8 ტრილიონამდე გაზარდა. აღნიშნულის განხორციელებისთვის ტრამპის გამარჯვებაა საჭირო, თუმცა ბოლო გამოკითხვებით დემოკრატიული კანდიდატი, ჯო ბაიდენი ლიდერობს (59.1%). 2020 წლის ნოემბრის არჩევნებზე შესაძლებელია საპირისპირო მოხდეს, როგორც ეს 2016 წლის არჩევნების დროს იყო, როცა ტრამპი რეიტინგით კლინტონს ჩამორჩებოდა.
- **მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია (WTO)** 2020 წელს გლობალური ვაჭრობის წლიურ 9.2%-იან შემცირებას მოელის, რაც წინა პროგნოზთან შედარებით გაუმჯობესებული მაჩვენებელია (12.9%). ოპტიმიზმის მიზეზი ივნისის და ივლისის კარგი მაჩვენებლები გახდა.
- გაზრდილი COVID-19 შემთხვევების მიუხედავად **ევროპული ინდექსები** ოქტომბრის პირველ კვირაში გაიზარდა. თუმცა, ეკონომიკური მაჩვენებლები გაურესებელი რჩება - დიდი ბრიტანეთის ეკონომიკა, მოსალოდნელზე ბევრად ნაკლებად გაიზარდა. ამასთან, ბრექსიტთან დაკავშირებული მოლაპარაკებები ინტენსიურ რეჟიმში გადავიდა, ვინაიდან ბორის ჯონსონმა განაცხადა, რომ დიდი ბრიტანეთი შეწყვეტს მოლაპარაკებებს, თუკი 15 ოქტომბრამდე მკაფიო შეთანხმება არ იქნება მიღწეული ევროკავშირთან.






წყარო: ბლუმბერგი
შენიშვნა: 2020 წლის 9 ოქტომბრის მდგომარეობით

- **ჩინეთის** ეკონომიკის გაჯანსაღება გრძელდება. სექტემბერში მწარმოებელთა PMI ინდექსი (ეყრდნობა კერძო კომპანიების გამოკითხვას) 0.5-ით გაიზარდა და 51.5 შეადგინა (50-ზე მეტი აჩვენებს გაუმჯობესებას), ხოლო მომსახურების PMI ინდექსმა ივნისის შემდეგ ყველაზე მაღალ ნიშნულს მიაღწია. მომსახურების სექტორის გაჯანსაღება, რომელზეც ჩინეთის ეკონომიკის 60% და ურბანული დასახლებების 50% მოდის, დადებით გავლენას ახდენს ჩინეთის შრომის ბაზარზე.
- 9 ოქტომბერს, **ჩინური იუანი** ერთ დღეში 1.5%-ით გამყარდა დოლარის მიმართ, რაც ბოლო 15 წლის მაქსიმუმაა. ინვესტორების მხრიდან გაზრდილი ინტერესის მიზეზი ეკონომიკის გაჯანსაღებაა. დემოკრატიული კანდიდატის, ჯო ბაიდენის გაპრეზიდენტების გაზრდილი შანსებიც ასევე დადებით გავლენას ახდენს ჩინეთზე, ვინაიდან მისგან უფრო კონსტრუქციული პოლიტიკაა მოსალოდნელი.

ნავთობი და ოქრო

- ოქტომბრის პირველ კვირაში ქარიშხალმა დელტამ მექსიკის ყურეში ნავთობმოპოვებითი სამუშაოების 92%-ის გაჩერება გამოიწვია. ამის შედეგად, **ნავთობის** ფასი გაიზარდა და 9 ოქტომბრის მდგომარეობით ბარელზე 40 აშშ დოლარს აღემატებოდა.
- საერთაშორისო ენერჯეტიკის სააგენტო (IEA) ნავთობზე მოთხოვნის პანდემიამდე არსებულ დონემდე დაბრუნებას 2023 წლიდან მოელოს, ხოლო შემდეგი ათწლეულის განმავლობაში ნავთობზე მოთხოვნის შემცირებას პროგნოზირებს, ენერჯის ალტერნატიული წყაროების გავლენით. ეს პროგნოზი შეესაბამება BP-ის მოლოდინებს, რომელიც მომავალი 30 წლის განმავლობაში ნავთობზე მოთხოვნის შემცირებას მოელოს. ამის საპირისპიროდ, OPEC, რომელიც 14 უმსხვილეს ნავთობექსპორტიორს აერთიანებს, მომავალი 20 წლის განმავლობაში ნავთობზე მოთხოვნის ზრდას პროგნოზირებს.
- აგვისტოში ისტორიული მაქსიმუმის შემდეგ (უნციაზე 2,000 აშშ დოლარი), **ოქროს** ფასი სექტემბერში 6 კვირის მინიმუმამდე დავარდა. აღნიშნულს ძლიერი დოლარი და აშშ-ს მხრიდან დამატებით ფისკალური სტიმულის განხორციელების რისკები განაპირობებდა. ოქტომბრის პირველ კვირაში **ოქროს** ფასი მცირედით გაიზარდა და 9 ოქტომბრის მდგომარეობით ფასმა უნციაზე \$1,923 შეადგინა.



წყარო: ბლუმბერგი
შენიშვნა: 2020 წლის 9 ოქტომბრის მდგომარეობით

